მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	83.02.15.205
კვ.მ.	დაზუსტებული ფართობი: 3117კვ.მ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები	საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერი N 882022903285 (01.12.2022); საკადასტრო გეგმა.
შეფასება	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შენობის I სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, სასადილო, ადმინისტრაციის ოთახები, ექიმის ოთახი, სველი წერტილები, მათ შორის ადაპტირებული სველი წერტილი, 2 საკლასო ოთახი, აღსანიშნავია, რომ ვიზიტის პერიოდში პირველი სართულის ერთ-ერთ ოთახში განთავსებული იყო საბავშვო ბაღის ერთი ჯგუფი, რომელიც ვიზიტის პერიოდშივე გადაყვანილ იქნა სხვა შენობაში.; შენობის მე-2 სართულზე განთავსებულია 8 საკლასო ოთახი, საინფორმაციო ტექნოლოგიების ლაბორატორია, სველი წერტილები, სამასწავლებლო. შენობის სხვენში- განთავსებულია სააქტო დარბაზი (73,35კვ.მ); დამხმარე ფართები, სველი წერტილები. სკოლაში სულ 10 ფინანსური კლასია. საკლასო ოთახები აღჭურვილია ინდივიდუალური სასკოლო მერხით და სკამით, მარკერით სამუშაო დაფებით, თაროებით, კარადებით, ყველა ოთახი აღჭურვილია კომპიუტერით და პროექტორით. ვიზიტის პერიოდში სკოლაში განთავსებული იყო 180 ინდივიდუალური სასკოლო მერხი, სკამით. ვიზუალური დათვალიერებით ინვენტარი იყო ჰიგიენურად მოწესრიგებული და დაზიანებების გარეშე.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • შენობის აზომვითი ნახაზი; • მიღება-ჩაბარების აქტი (01.11.2012); • სასაქონლო ზედნადები N0083223563; • ჩუქების ხელშეკრულება (11.07.2011).
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ეზოში მოწყობილია ერთი ხელოვნურსაფარიანი ღია ტიპის მოედანი, კალათბურთის ფარით აღჭურვილი, ასევე მეორე ხელოვნურსაფარიანი ღია ტიპის მოედანი ფეხბურთის კარებით აღჭურვილი. დაწესებულებაში ვიზიტი დაემთხვა არახელსაყრელ კლიმატურ პირობებს (წვიმა), მონიტორინგის ფარგლებში მოგვიწია სპორტის გაკვეთილზეც დაკვირვება, რომელიც საკლასო

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	სივრცეში ტარდებოდა. პედაგოგის განმარტებითა და ეკრანზე გამოტანილი რესურსის მიხედვით გაკვეთილი ეთმობოდა ჰიგიენის წესების შესწავლას. პირველი დღისაგან განსხვავებით, ვიზიტის მეორე დღეს დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით შენობის სხვენში არსებული სააქტო დარბაზი (73,35კვ.მ) გამოიყენება უამინდობის დროს სპორტის გაკვეთილებისთვის, ასევე სხვადასხვა შემოქმედებითი ღონისძიებებისთვისა და ცეკვის გაკვეთილების ჩატარებისთვის. წარმოდგენილი სპორტული ინვენტარის ფლობის დოკუმენტაციის შესწავლისას სკოლას შეძენილი აქვს ერთი დასაფენი, ორი ხალიჩა, კალათბურთის ფარი, კუბიკები, ბოულინგი, ერთი ბურთი (2020წ); ორი ბურთი, ოთხი სახტუნაო, იოგის დასაფენები 10ც. (2018წ). ე. წ. სააქტო/სპორტული დარბაზი შეუსაბამოა ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებისთვის განკუთვნილი სპორტული აქტივობებისთვის, რადგან მდებარეობს შენობის სხვენში, მანსარდის ტიპის დაბალჭერიან სივრცეში, არ გააჩნია საევაკუაციო გასასვლელი. ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მინისტრის ბრძანება N99/ნ თავი II , მუხლი 4,აპუნქტის, ა. გ პუნქტის საფუძველზე ,სტანდარტი დაკმაყოფილებულია , როდესაც სკოლას აქვს სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	• ინტერვიუს შედეგები; • სასაქონლო ზედნადები N 0552283025;0369756109.0
შეფასება:	☐ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას მოპოვებული აქვს ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაცია, შესაბამისად არ მიმდინარეობს ქიმიის, ფიზიკის და ბიოლოგიის სწავლება, თუმცა ბუნებისმეტყველების სწავლების მიზნით ვიზუალური დათვალიერებით წარმოდგენილია სხვადასხვა სასწავლო რესურსი (მაგ. მულაჟები, მზის სისტემის მოდელი და სხვ.) სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია კომპიუტერები, შექმნილია და ხელმისაწვდომია ლაბორატორიით სარგებლობის წესი, სკოლამ წარმოადგინა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ საინფორმაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიის რისკების შეფასების დოკუმენტი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს „დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმის” ლაბორატორიის გამოყენების წესი (დებულება); • კომპიუტერული ლაბორატორიის რისკების შეფასების გეგმა; • ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას მიეწოდება ელექტროენერგია , წყალი და ბუნებრივი აირი. დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, წყალი უწყვეტად არ მიეწოდებათ, შესაბამისად დამონტაჟებულია წყლის ავზები, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის წყლით მუდმივად მიწოდებას. ექსპერტები დავინტერესდით სასმელი წყლის უვნებლობის პარამეტრებისა და ხარისხის დადგენის

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	მიზნით, სკოლა ახდენს თუ არა შესაბამის პერიოდულ კვლევებს, რის მტკიცებულებად წარმოგვიდგინეს 2019 წელს გაცემული შესაბამისი დასკვნა. რეკომენდებულია სკოლამ „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილებით განსაზღვრული სასმელი წყლის ხარისხის მაჩვენებლები დადგენის მიზნით მიმართოს შესაბამის უწყებებს და პერიოდულად განაახლოს კვლევის შედეგები. საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყოფილ ყველა ოთახს აქვს ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. სკოლაში არის ცენტრალური გათბობა, რომლის ქვაბები შენობის გარეთაა დამონტაჟებული. პირველ და მეორე სართულზე განთავსებულია სველი წერტილები, ცალკე გოგონებისთვის, ვაჟებისთვის, სსსმ მოსწავლეებისთვის . სველი წერტილები უზრუნველყოფილია წყლით, საპნით, ერთჯერადი ხელსახოცებით და ყველა საჭირო სადეზინფექციო საშუალებით. ვიზუალური დათვალიერებით სველ წერტილებში დაცულია ჰიგიენური მდგომარეობა, ასევე სკოლაში არის წესრიგი , თბილა და დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• კომუნალური გადახდის ქვითრები სსეპ ჯორჯიასთან, შპს ,,სოკარ ჯორჯიასთან“, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიასთან;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	• სასმელი წყლის უვნებლობის 2019 წლის დასკვნა; • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, რომელიც აღჭურვილია წიგნების თაროებით, გამოყოფილია სამკითხველო ზონა, ბიბლიოთეკარის მაგიდა, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. ლიტერატურა განთავსებულია ანბანურად , შერჩევითი პრინციპით გადამოწმებისას წიგნები დამოწმებულია საბიბლიოთეკო წესით, ბიბლიოთეკარი აწარმოებს ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნს. შემუშავებული და დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია ხელშეკრულება. დაცულია სასკოლო სასწავლო გეგმით

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	გათვალისწინებული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების მინიმუმ თითო ეგზემპლარი ყველა საგანში. ბიბლიოთეკარი არის ამავე სკოლის მასწავლებელი. სტანდარტის უკეთ შესაბამისობის მიზნით რეკომენდებულია სკოლამ შეიმუშაოს ბიბლიოთეკის ხელმისაწვდომობის და ეფექტიანი მუშაობისთვის მექანიზმი. სკოლაში დაცულია გასულ წლებში გამოცემული გაზეთები. რეკომენდებულია სკოლამ სტანდარტის უკეთ შესაბამისობის მიზნით, გაამდიდროს ბიბლიოთეკა პერიოდიკით და დამხმარე სასწავლო რესურსებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • ბიბლიოთეკის დებულება; • საინვენტარო წიგნი; • მოსწავლეზე გახსნილი სამკითხველო ბარათები; • წიგნების შეძენის სასაქონლო ზედნადებები N 0405183576; 0409181853; 0404690309; 0406433943; 0406434125; 0403714604; 0406434036.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის ადაპტირებული გარემო სსსმ მოსწავლეებისთვის, კერძოდ: შენობის შესასვლელში მოწყობილია პანდუსი, ხოლო სართულებზე გადაადგილება შესაძლებელი იქნება კიბეებზე მოწყობილი ლიფთონის ასაკეცი პანდუსით. პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი. ვიზიტის პერიოდში ვიზუალური დათვალიერებისას სველ წერტილში ხელსაბანი იმგვარად იყო დამონტაჟებული , რომ ვერ უზრუნველყოფდა ეტლის მოსარგებლის გადაადგილებას. სკოლამ ვიზიტის პერიოდშივე ხელსაბანს შეუცვალა მდებარეობა, რითაც აღნიშნული ხარვეზი გამოსწორდა. ვიზიტის პერიოდში სკოლაში არ ირიცხებოდა სსსმ მოსწავლე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, კერძოდ: ➢ სკოლის ვებ-გვერდი- www.skoladavit.edupage.org ➢ სკოლის ელექტრონული ფოსტა agmashenebeli89@gmail.com ➢ სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემა ; ➢ სოციალური გვერდი https://www.facebook.com/marneulias; ➢ ელ. ჟურნალი ,,Edu Page“, რომელიც ასრულებს საინფორმაციო–საკომუნიკაციო ფუნქციას; ➢ IT ლაბორატორიაში განთავსებული ინტერნეტქსელში ჩართული 21 კომპიუტერი; ➢ საკლასო ოთახებში განთავსებულია სტაციონარული კომპიუტერები და პროექტორები; ➢ ადმინისტრაციის ოთახებში განთავსებული კომპიუტერები;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ჯამში სასწავლო მიზნით სკოლა იყენებს 31 კომპიუტერს. ინტერნეტ მომსახურებას უზრუნველყოფს შპს ,,ჯენეტი''. სკოლის ვებ-გვერდი ახალი შექმნილია. მასზე დატანილია შემდეგი ინფორმაცია: სიახლეების ველი, საგაკვეთილო ცხრილი, საშინაო დავალებების ველი, შეტყობინების გაგზავნის სერვისი, საკონტაქტო ინფორმაცია. სტანდარტის უკეთ შესაბამისობის მიზნით რეკომენდებულია ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომი იყოს სკოლის შინაგანაწესი და სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი სხვა დოკუმენტები. ვებ-გვერდის ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით, სკოლამ განსაზღვროს ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი ან/და გაეწიოს მონიტორინგი აღნიშნული ფუნქციის შესრულებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვებ- გვერდის ვიზუალური დათვალიერება; • კომპიუტერების და პროექტორების ჩუქების ხელშეკრულება (2012); • ინტერნეტ მომსახურების გადახდის დამადასტურებელი ქვითრები;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულია დირექტორის 2020 წლის 15 მაისის N07/09 ბრძანებით დამტკიცებული შპს „დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმში“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, სადაც გაწერილია საგანგებო სიტუაციების დროს, მათ შორის ხანძრის დროს გასატარებელი ღონისძიებები. სკოლაში დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და მოწყობილობები , კერძოდ: გადამუხტული ცეცხლმაქრები, კვამლის დეტექტორები, სიგნალიზაციის პანელი, განგაშის ზარი, შესაბამისი მანიშნებლები. ცეცხლმაქრების განთავსების ადგილას და საევაკუაციო გასასვლელებთან გამოკრულია ერთიანი სატელეფონო ნომერი ,,112'' და სახანძრო უსაფრთხოების ზომების ამსახველი პოსტერი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობილობების შეძენის სასაქონლო ზედნადები N 0214461152; • ცეცხლმაქრების გადამუხტვის ხელშეკრულება N 76; 12/10/2022; • დირექტორის 2020 წლის 15 მაისის N07/09 ბრძანებით დამტკიცებული შპს „დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმში „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი .
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შიდა ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები, რომელიც შემუშავებულია ,,სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე '' საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N 370 დადგენილების დამტკიცებამდე. სკოლამ აღნიშნულის მოწესრიგების მიზნით ვიზიტის პერიოდში წარმოგვიდგინა საგანგებო სიტუაციების სამსახურისადმი გაგზავნილი განცხადება საევაკუაციო გეგმების შემუშავების მოთხოვნის შესახებ.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება; • გაგზავნილი კორესპონდენცია ახალი საევაკუაციო გეგმების შემუშავების შესახებ N 04/53 ; 30.11.2022.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია სამედიცინო ოთახი, რომელიც აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N41/ნ/01-23/ნ შესაბამისად. სკოლას ამ ეტაპზე ემსახურება ექთანი. დაწესებულებას ექიმის ვაკანტურ პოზიციაზე გამოცხადებული ქონდა კონკურსი , თუმცა უშედეგოდ. სამედიცინო კარადაში განთავსებული მედიკამენტების დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ ზოგიერთი წამალი ვადაგასულია. ექთნის განმარტებით ის არ იყენებს აღნიშნულ მედიკამენტებს

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	და ავადობის შემთხვევების მართვის მიზნით, იძახებს სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადას. ექსპერტები დავინტერესდით, თუ როგორ აწარმოებდა პაციენტთა რეგისტრაციას. აღნიშნულთან დაკავშირებით ექთანმა ვერ წარმოადგინა სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის პერიოდში სამედიცინო ოთახში განთავსებული იყო მაცივარი-საყინულე, რომელშიც განთავსებული იყო საკვები, ამასთან დაკავშირებით ვიზიტის პერიოდში სკოლამ აღნიშნული მაცივარი გადაიტანა სასადილოში. ასევე, ვიზიტის პერიოდშივე უზრუნველყო ვადაგასული წამლების ჩანაცვლება ახალი წამლებით. <u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები , მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით, გაზარდოს სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა. აწარმოოს კონტროლი ვადაგასული მედიკამენტების აღრიცხვაზე და პასუხისმგებელ პირთა საშემსრულებლო დისციპლინაზე.</u> მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სკოლის ექიმმა დღის, დასვენებისა და კვების რეჟიმზე გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები. კერძოდ, ვიზიტის პერიოდში, საგაკვეთილო განრიგის შესწავლისას დადგინდა, რომ მოსწავლეებს გაკვეთილებს შორის 5 წთ. და ორი 10 წუთიანი შესვენება აქვთ, რა დროსაც პირველ სართულზე განთავსებულ სასადილოში უწევთ

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	სადილი. ვიზიტის პერიოდშივე გამოიკვეთა, რომ სასადილოდან მოსწავლეები დროულად ვერ ასწრებენ დაბრუნებას და დაგვიანებული შედიან გაკვეთილზე. სკოლას მიეცა რეკომენდაცია გადახედოს მოქმედ დღის რეჟიმს და გონივრულ ვადამდე გაზარდოს შესვენებისა და კვების დრო. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტის დროს სკოლის ფოიეში განთავსებულ ე.წ. ,,სნეკ აპარატში" (აპარატი, სადაც მოსწავლეს შეუძლია შეიძინოს სხვადასხვა საკვები პროდუქტი) არ იყო ,,სასკოლო კვების ორგანიზების შესახებ რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 მაისის N 410 ბრძანებით განსაზღვრული აკრძალული პროდუქტები, რეკომენდებულია სკოლამ საქმიანობის პროცესში გაითვალისწინოს ,,ჯანსაღი და უსაფრთხო კვება სკოლაში - საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინის) დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს შრომის , ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 27 ოქტომბრის N 01-306/ო ბრძანებით და ,,სასკოლო კვების ორგანიზების შესახებ რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ ''საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 მაისის N 410 ბრძანებით დადგენილი მოთხოვნები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ბრძანება ექიმის ვაკანტური პოზიციის შესავსებად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ ბრძანება N 07/37; 26.09.2022;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	• ვიზუალური დათვალიერება; • სკოლის ექთანთან დადებული შრომითი ხელშეკრულება;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას კანონმდებლობის შესაბამისად შეთანხმებული და დამტკიცებული აქვს შპს „დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმში“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი. სკოლაში დასაქმებულია შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, შენობის დაცვას უზრუნველყოფენ შესაბამისი თანამშრომლები. შემუშავებულია და თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია მასწავლებელთა მორიგეობის ცხრილი. სკოლაში დამონტაჟებულია სიგნალიზაცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დირექტორის 2020 წლის 15 მაისის N07/09 ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი; • მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი; • დაცვის თანამშრომელთან გაფორმებული ხელშეკრულება;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დამონტაჟებული იყო 14 ვიდეოსამეთვალყურეო კამერა, რომელთაგან 6 გარე ,ხოლო 8 შიდა პერიმეტრს აკონტროლებდა, ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები შეესაბამებოდა კანონმდებლობას. დაწესებულების დირექტორის (N 07-68 ;15.12.2021) ბრძანებით განსაზღვრულია ვიდეოსათვალთვალო სისტემების კონტროლსა და ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირები, ხოლო დირექტორის 2020 წლის 15 მაისის N07/09 ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესის მე-5 თავით განსაზღვრულია სკოლის ვიდეოთვალთვალის სისტემის აღჭურვისა და ადმინისტრირების წესი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ვიზიტის პერიოდში სკოლამ სკოლის გარე პერიმეტრზე დაამატა შემოსასვლელი კარის და გზის სავალი ნაწილის კონტროლის მიზნით სამი ვიდეო კამერა, ასევე შიდა პერიმეტრზე დაემატა ვიდეო კამერა, რომელიც აქამდე გაუკონტროლებელ კიბის სივრცეს სრულად დაფარავს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• დირექტორის 2020 წლის 15 მაისის N07/09 ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი; • ვიდეოკამერების ფლობის დოკუმენტაცია სასაქონლო ზედნადები N 0512186361; 0350866871; 0350672028; 0115403067; 0295977762.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია დირექტორის 2017 წლის 10 ივლისის N 07 / 20 ბრძანებით (ცვლილება ბრძ N 07/17;01.09.2022) შპს ,,დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმის'' დებულება, რომელიც ადგენს და განსაზღვრავს დაწესებულების სტატუსს, სკოლის მიზნებს, ფუნქციებს და საქმიანობის საგანს. სკოლის სტრუქტურას და სტრუქტურული ერთეულების და თანამდებობების მოვალეობებს, მშობლებთან ურთიერთობას, შიდა კონტროლის წესს და თანამშრომელთა შრომითი ურთიერთობის პრინციპებს და სხვ. სკოლის შინაგანაწესი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის 2017 წლის 4 ივლისის ბრძანებით 07/09, რომელითაც განსაზღვრულია სამუშაო და დასვენების დრო; სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და ფარგლები; შრომითი ურთიერთობის წარმოშობა; შრომითი ურთიერთობის პირობები; სამსახურეობრივი მივლინება; შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა/ საბოლოო ანგარიშსწორება; წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა; სკოლაში ჩარიცხვის და სკოლიდან გადაყვანის პირობები; მოსწავლის უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება; სიცოცხლის, ჯანმრთელობის, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები; განცხადების/ საჩივრის განხილვა; დასკვნითი დებულებანი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	სკოლის წარმომადგენელმა წარმოადგინა შინაგანაწესის პროექტიც, რომელსაც უახლეს პერიოდში გეგმავდა სკოლა დამტკიცებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მარეგულირებელი დოკუმენტები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შპს ,,დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმის'' დებულება, ბრძ N 07/20; 10.07.2017 (ცვლილება ბრძ N 07/17;01.09.2022); • შპს. დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმის შინაგანაწესი , ბრძ. N 07/09; 04.07.2017.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დირექტორის 2022 წლის 01 სექტემბრის N 07 / 16 ბრძანებით დამტკიცებულია ,,შპს დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა-ლიცეუმის“ სტრატეგიული განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა’’, რომელიც სკოლის ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარეობს. სტრატეგიული დაგეგმვისას სკოლა იყენებს სტრატეგიული დაგეგმვის SWOT-ანალიზის მეთოდს. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მიმართულებებია: მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემო, საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები/პროცედურები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა - მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა - მოსწავლეების სწავლა-სწავლების ამაღლება, მშობელთა ჩართულობა აღმზრდელობით პროცესში, საერთაშორისო კავშირების დამყარება და განვითარება, საქმიანობების მონიტორინგისა და სკოლის თვითშეფასების მუდმივმოქმედი ციკლის დანერგვა . მიმართულებები ჩაშლილია კონკრეტულ აქტივობებად, დროში გაწერილია და ითვალისწინებს შესრულებაზე პასუხისმგებელ პირებს. დაწესებულების ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს SWOT ანალიზის შედეგებს და სკოლის მისიაზე დაყრდნობით სტრატეგიული

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	მიმართულებების განსაზღვრას. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი (24.06.2022) მოიცავს სტრატეგიულ მიმართულებებს და სტრატეგიულ მიზნებს, რომელიც ამოცანების და ქვეამოცანების სახითაა წარმოდგენილი , განსაზღვრულია მოსალოდნელი შედეგები და შედეგის ინდიკატორები, გათვალისწინებულია სტრატეგიული მიზნებისთვის მისაღწევი საჭირო რესურსი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის ექვსწლიანი და ერთწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმები; • SWOT ანალიზის შედეგები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა, კერძოდ სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი (ბრძ. N 07/01;30.03,2017), საქმისწარმოებას უზრუნველყოფს ხელშეკრულებით დასაქმებული საქმისმწარმოებელი. სკოლაში სათანადო წესით დამოწმებული სხვადასხვა ტიპის სარეგისტრაციო ჟურნალებია, რომელშიც შერჩევითი პრინციპით მართვის საინფორმაციო სისტემაში გატარებული მონაცემების სისწორის დადგენის მიზნით გადამოწმების შედეგად, ხარვეზი არ დაფიქსირებულა. სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოებს მოსწავლეთა პირად საქმეებს, ასევე შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა მოსწავლეთა უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების, მოსწავლეთა სტატუსის შეჩერების პროცედურების კანონმდებლობასთან შესაბამისობა, აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლაში ხარვეზი არ დაფიქსირებულა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საქმისწარმოების წესი (ბრძ. N 07/01;30.03,2017); • შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები; • ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალები; • მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახული მონაცემები; • მოსწავლეთა პირადი საქმეები; • ხელშეკრულება საქმისმწარმოებელთან;

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	• სკოლის დებულება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	სპორტდარბაზი განთავსდეს შენობის პირველ სართულზე სპეციალურად მიშენებულ ან ცალკე მდგომ ფართში, სასწავლო სათავსებისგან იზოლირებულად. საევაკუაციო გასასვლელი უშუალოდ გარეთ გადიოდეს. სიმაღლე გადახურვის კონსტრუქციის ძირამდე იყოს გამოსაყენებლად უსაფრთხო; სპორტდარბაზთან უნდა არსებობდეს სპორტული ინვენტარის სათავსი; ბიჭებისა და გოგონებისათვის ცალ-ცალკე გასახდელი, შესასვლელი გასახდელებიდან სპორტდარბაზში მოეწყოს უშუალოდ ან სპეციალური დერეფნით.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

ხარვეზები:	სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი.
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☒ **სტანდარტი დარღვეულია**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საჭირო რაოდენობის ადამიანური რესურსი. სკოლას მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული აქვს 160 ერთეულით. ვიზიტის პერიოდში სკოლაში ირიცხებოდა 156 მოსწავლე , 34 თანამშრომელი, მათ შორის 21 მასწავლებელი. სკოლის ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს წარმოადგენს: დირექტორი, დირექტორის ორი მოადგილე ,ბუღალტერი, იურისტი, სკოლის ექთანი, IT სპეციალისტი, ფსიქოლოგი, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, ბიბლიოთეკარი, საქმისმწარმოებელი, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი, 2 დარაჯი, 2 დამლაგებელი, 4 მზარეული. დირექტორის მოადგილეები ამავე დროს მასწავლებლებიც არიან.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები გაწერილია სკოლის დებულებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის საშტატო განრიგი; • თანამშრომელთა პირადი საქმეები; • E-School-ის ბაზის მონაცემები; • საათობრივი ბადე, მასწავლებელთა დატვირთვა; • სკოლის დებულება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	21

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

მოწვეული/მაძიებელი	**2 (7 მასწავლებელი სტატუსის გარეშეა)**
პრაქტიკოსი მასწავლებელი	**0**
უფროსი მასწავლებელი	**12**
წამყვანი მასწავლებელი	**0**
მენტორის სტატუსი	**0**

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებამ წარმოადგინა მასწავლებელთა პირადი საქმეები, რომლებიც შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას. სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესით მუხლი 23. რეგულირდება სკოლაში მასწავლებლის/თანამშრომლის მიღება და სამსახურებრივი შეთავსება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებლების პირადი საქმეები; • მასწავლებელთა ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მასწავლებელთა შერჩევისას სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს კონკურსის ჩატარების წესი. პირველ ეტაპზე კანდიდატი წარადგენს განცხადებას, შემდეგ ხდება გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან. შემდეგი ეტაპია კონკურსის შედეგების განსაზღვრაა. ვაკანტური ადგილის შესახებ ინფორმაცია იდება მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე და სხვა საინფორმაციო საშუალებებში. შინაგანაწესში განსაზღვრულია თანამშრომელთა მიღების, ასევე სკოლის საჭიროების შემთხვევაში მოწვეული ან შემცვლელი მასწავლებლის მიღების წესი.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	სკოლის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და წახალისების ფორმები გაწერილია შინაგანაწესში (თავი 6, 7).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან; • კონკურსის ჩატარების წესი.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ყველა ხელშეკრულება შედგენილია საქართველოს ორგანული კანონის ,,შრომის კოდექსთან" შესაბამისობაში. ხელშეკრულებები ხელმოწერილია და დამოწმებული სკოლის ბეჭდით. ასევე რეგისტრირებული შესაბამის რეგისტრაციის ჟურნალში. ყველა ჟურნალის გვერდი არის დანომრილი. დალუქულია შესაბამისი ზონარითა და ბეჭდით. ხელშეკრულებებში ყველა სავალდებულო პუნქტთან ერთად, დეტალურადაა განსაზღვრული თითოეული სტრუქტურული ერთეულის უფლება-მოვალეობები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ხელშეკრულებები; • ხელშეკრულების აღრიცხვის ჟურნალი; • ინტერვიუირება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება და ჰყავს ხარისხის მართვის მენეჯერი. მასწავლებლები ჩართული არიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის სქემაში. სქემის მოთხოვნათა შესაბამისად და ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკიდან გამომდინარე, სკოლა ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე. ამ მიზნით ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი მასწავლებლებს ესწრება გაკვეთილზე და აძლევს მათ განმავითარებელ შეფასებას. ამასთან ერთად გაკვეთილზე დასწრების შედეგების ანალიზის საფუძველზე, ხდება შესაბამისი რეაგირება. პროფესიული განვითარების მიზნით სკოლის დირექტორის ჩართულობით, დირექტორის მოადგილეებისა და კათედრის

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	ხელმძღვანელების მონაწილეობით იმართება სამუშაო შეხვედრები, სადაც განიხილება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საკითხები. სკოლაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადამიანური რესურსის პროფესიულ განვითარებას, როგორც პედაგოგიური , ისე ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის მხრივ. ექსპერტების მიერ გადამოწმდა შესაბამისი აქტივობები. მაგალითად: ტექნიკურ პერსონალს ჩაუტარდა ტრენინგები/ინსტრუქტაჟით შრომისა და კოვიდ უსაფრთხოებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება; • სკოლის პერსონალის პირადი საქმეები; • ვიზუალური დათვალიერება; • ინტერვიუირება.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში იგრძნობა დაცულობისა და კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. ინტერვიურების პროცესში თითოეული მშობელი აღნიშნავდა, რომ მათი შვილი დაცულია, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური კუთხით, მათ მოჰყავდათ დაცულობის დამადასტურებელი კონკრეტული მაგალითები. ინტერვიურების პროცესში მშობლებმაც , მოსწავლეებმაც და პედაგოგებმაც აღნიშნეს სკოლის მხრიდან ხელშემწყობი გარემოს არსებობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი; • გამოკითხვის კითხვარები; • ინტერვიუირება.

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.

	☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

X. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი 27.01.2023

(შევსების ადგილი) თარიღი

გვერდების რაოდენობა: 88

88

მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე

მონიტორინგის ჯგუფის წევრი

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა .....

ბ.ა.